37(192) 6.10.2000 პარასკევის გამოშვება 30 თეთრი

# ფანტაზია 2000



1. იმედია, იცით, როგორ ძღერს მეგრულად „ვეფხისტყაოსანი“ (...თუ-ძარ იცით, ჰკითხეთ ვინმეს, ერთი კვირა დრო გაქვთ.). 6. პურის საცხობი. 8. XX საუკუნის საუკეთესო ქართველი მომღერალი. 15. თვალების უნებური სწრაფი მოძრაობა სხვადასხვა მიმართულებით. 16. ერთი ანეკდოტში რომაა - ის, ვინც თანამდებობის პირს სჭირდება, გარდა ბორჯომისა. 17. ერთ-ერთი საკონცენტრაციო ბანაკი. 20. ყველაზე პატივსაცემი ნაწილი ლუარსაბ თათქარიძის არსებისა. 21. ნაყოფიერების ღმერთი რომაულ მითოლოგიაში. 22. ხეობა საქართველოში. 23. რა ერქვა კაცს, რომელმაც ოპერეტები „სილვა“ და „მარიცა“ შექმნა? 27. მატერიის არსებობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა. 28. უძველესი, ანუ როგორი ადამიანი, არქეოლოგიის თვალსაზრისით? 29. იტალიური სიმღერის საფესტივალო ქალაქი. 30 (.....) შინკუბა, აფხაზი მწერალი. 35. „ტიტული“, რომელიც ერთაოზ ბრეგაძემ ქრისტეფორე მგალობლიშვილს შეუქმნა. 36. ჩვენი მოკრივე, რამაზ ...... 37. წმინდად დანაყული ხორცის ან თევზისაგან მომზადებული საჭმელი. 41. ყნოსვის სიმახვილის გაზომვის მეთოდი. 42. (ბატონი) ალექსიძე, დიდი ქართველი რეჟისორი. 46. სოფელი საჩხერის რაიონში. 47. რა არის, მარქსის აზრით, სახელმწიფოს მცირე უჯრედი? 48. შუა სს ევროპაში ადამიანი, რომელიც ბავშვებს იტაცებდა, ამახინჯებდა და მერე მასხარებად ჰყიდდა. 52. მევენახეობის სპეციალისტი. 53. ბოტანიკის ნაწილი, ლიქენების (ერთგვარ უმდაბლეს მცენარეებს) შემსწავლელი. 54. ინგლისელი მწერალი,(.......) გრინი. 57. (ატლასი ჩქარა!) იძუს არქიპელაგის კუნძული იაპონიაში. 58. აფონიას საყვარელი ქალის როლში რომაა. 59. ანგარებიანი ქალბატონი აკ.წერეთლის ცნობილი პოემაში. 60. ქალაქი ფინეთში. 63. რუსი მწერალი, ავტორი ისტ. რომანისა „ჩინგიზ-ხანი“. 64. სანოტო ნიშანი. 65. ქიმიური ელემენტი. 66. ფედერიკო გარსია ლორკას ბერნარდა....

1. სტუმრობით დამეგობრებული ადამიანი კავკასიურ სინამდვილეში. 2. ქართველი მშვილდოსანი ქალი, მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი. 3. ხის ტანი ფესვიდან ვარჯამდე. 4. მრგვალწვერა სატევარი. 5. ისტორიული ციხე საჩხერის რაიონში... სადაც „არც შენ ინანებ, არც ისა...“ 7. საგანგებო ყუთი ორი საგანგებო სფეროსათვის. 9. სასექტემბრო ბიზნესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. 10. ქართული კინოს ყველაზე „ინკოგნიტო“ პერსონაჟი. 11. სხვადასხვა ნაწილისგან შეკოწიწებული რამ. 12. სახელმწიფო, ბანკი ამ დაწესებულება, რომელიც ემისიას ახორციელებს. 13. ბალეარის არქიპელაგის ერთ-ერთი კუნძული. 14. მოდერნისტული მიმდინარეობა XX ს დასაწყისის სახვით ხელოვნებაში. 18. ავიამზიდზე მოწყობილი მექანიზმი გემბანიდან თვითმფრინავის ასტყორცნად. 19. ბალზაკის საყვარელი ტყავი. 24. ქეთევანი... ედიშერი... რა გვარი აერთიანებთ მათ? 25. კინოპერსონაჟი, რომელიც დიდმა ფელინიმ საყვარელი ცოლისათვის შეთხზა. 26. დეკორატიული მცენარე, იგივე კაპუცინი. 31. ინკვიზიციის უმცროსი მსახური. 32. ნათლიის ცოლი. 33. როგორია ტიფის ერთ-ერთი სახე. 34. არაკეთილსინდისიერი ხერხი რისამე მისაღწევად. 38. ცნება, რომელიც ინგლისურ ენას შემოჰყვა ჩვენში ადამიანის ადგილის დასაფიქსირებლად საზოგადოებაში. 39. ქიმიური ელემენტი, ლანთანოიდების ოჯახისა... ცნობილია იმით, რომ (ტკიპივით) ძნელად (ან ვერ) მოაშორობ თავის თანამგზავრ სხვა ელემენტს. 40. დასკვნა. 43. ქალაქი სამხრ. აფრიკის რესპუბლიკაში. 44. ხის სასულე ინსტრუმენტი. 45. X ს ჩვენი პოეტი-ჰიმნოგრაფი. 49. მითოლოგიური ურჩხული, რომლის შეხედვაც და სუნთქვაც მუსრს ავლებს ყველას. 50. ერაყმა რიმ განახორციელა ქუვეითის მიმართ. 51. „კავკასიური ცარცის წრის“ ფორმიანი პერსონაჟი. 55. ოპტიკური მინა. 56. პურის ნაწილი. 61. რა ასოა ეს - ჯ. 62. მორჩა ანუ!

**აციდოფილია** - ცხოველური ან მცენარეული ორგანიზმის უჯრედთა და ქსოვილთა უნარი შეღებილ იქნენ მჟავე საღებრებით.

**აციდოფილინი** - განსაკუთრებული ბაქტერიებით შედედებული მაწონი.

**აციჯქვა** - სოფელი გაგრის სიახლოვეს.

**აცრა** - სამედიცინო-პროფილაქტიკური ღონისძიება.

**აცტეკები** - მექსიკის ინდიელები.

**აცხა!** - შეძახილი კატის გასაგდებად.

**აძაბა** - მღვიმე სოხუმის რ, ეშერის პლატოზე.

**აძაფში** - მდინარე სოხუმის რ.

**აძბააჩა** - მდინარე გუდაუთის რ.

**აძელიო** მასიმო ტაპარელი, მარკიზ დ' - XIX ს იტალიის პოლიტ. მოღვაწე, მწერალი და მხატვარი.

**აძვი** - სოფელი გორის რ

**აძვისთავი** - სოფელი ცხინვალის რ

**აძვისი** - სოფელი ხაშურის რ

**აძიბჟარა** - სოფელი ოჩამჩირის რ

**აძიგეჟი** - სოფელი სოხუმის რ

**აძიდუ** - მდინარე გაგრის სიახლოვეს

**აძიკვა** - მდინარე ოჩამჩირის რ

**აძლაგარა** - სოფელი და მდინარე გუდაუთის რ

**აძლაგარხუჟი** - სოფელი გუდაუთის რ

**აძუბჟა** - სოფელი ოჩამჩირის რ

**აძურა** - მდინარე ცხინვალის რ

**აძურუ** - მდინარე გალის რ

**აძუსთა** - სოფელი გუდაუთის რ

**აძღაფშა** - სოფელი გუდაუთის რ

**აძხიდა** - სოფელი ოჩამჩირის რ

**ან** - ამჟამად.

**ანაიშანგარა** - მდინარე გულრიფშის რ

**ანანგვარა** - ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ ძეგლთა კატეგორია აფხაზეთში.

**ანაგარა** - მდინარე გულრიფშის რ, იგივე ჩხალთა

**ანალარი** - მთა ლენტეხის რ

**ანი** - ამის შემდეგ.

**ანითაქუ** - მთა, ქედი და მდინარე გუდაუთის რ

**ანინდელი** - ახლანდელი.

**ანინქნები** - იგივე ბოშები.

**ანმყო** - ახლანდელი დრო.

**ანრისხევი** - სოფელი ცხინვალის რ

**ანუნტა** - მყინვარი ახმეტის რ

**ანყვიტა** - სოფელი და ტბა ასპინძის რ

**ანყურელი** დავით - XX ს დასაწყისის მსახიობი.

**ანყური** - სოფლები ახალციხის და ახმეტის რ

**აჟავჟარა** - უღელტეხილი ბზიფის ქედზე.

**აჟანდარა** - სოფლები გუდაუთის და გულრიფშის რ

**აჟანვა** - სოფელი გუდაუთის რ

**აჭარა** - ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოში.

**აჭარა** - სასტუმრო თბილისში.

**აჭარა** - სოფელი ცაგერის რ

**აჭარიანი** რაჩია - სომეხი ენეთმეცნიერი.

**აჭარისაღმართი** - სოფელი ხელვაჩაურის რ

**აჭარისწყალი** - სოფელი და მდინარე ხელვაჩაურის რ

**აჭარლები** - ქართველების ერთ-ერთი ეთნიკური ჯგუფი.

**აჭაფარა** - კარული ტიპის მყინვარი აფხაზეთის კავკასიონზე.

**აჭე** - სოფელი დუშეთის რ

**აჭი** - მდინარე და სოფლები ოზურგეთის და ქობულეთის რ

**აჭიაბაჭია** - აბდაუბდა, მოსაწყენი ლაპარაკი.

**აჭიმი** - ცხენის პირს მოსკვნილი თოკი (საბა). შარვლის დასამაგრებელი სამხრე.

**აჭისწყალი** - მდინარე ოზურგეთის და ქობულეთის რ

**აჭიჭყნილი** - ნაწერი მიყრილი ავად (საბა).

**აჭრა** - მთა კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე.

**აჭრაჭუჭი** - ერთი ცერცვითი არის (საბა).

**აჭყვა** - სოფელი და მდინარე ქობულეთის რ.

**აჭყვისთავი** - სოფელი ქობულეთის რ

**ახ** - დანანების გამომხატველი შორისდებული.

**ახა** - ცუდი ხმა რამეა (საბა).

**ახა** - მდინარე და სოფელი დმანისის რ

**ახაგი** - მთა გაგრის ქედის მთავარ განშტოებაზე.

**ახადი** - სოფელი დუშეთის რ

**ახადისწყალი** - მდინარე დუშეთის რ

**ახალბედა** - რაიმე საქმიანობის ახლად დამწყები.

**ახალბედისეული** - სოფელი ხონის რ

**ახალგაზრდა** - ყმაწვილი კაცი, ჭაბუკი.

**ახალგორი** - რაიცენტრი საქართველოს ცენტრ. ნაწილში.

**ახალდაბა** - დაბა ბორჯომის რ და სოფლები ახალგორის, ახმეტის, მცხეთის, ოჩამჩირის, შუახევის რ, ტყიბულის და წყნეთის მახლობლად.

**ახალთაობა** - რევოლუციური მოძრაობის მიმდევრები 1905 წ რევოლუციის დროს.

**ახალთახალი** - სულ მთლად ახალი.

**ახალთესლი** - საგაზაფხულო ქერის ქართული ჯიში.

**ახალი** - აწ ქმნილი (საბა).

**ახალიკი** - სოფელი წალკის რ

**ახალკახათი** - სოფელი ზუგდიდის რ

**ახალკვირა** - აღდგომის სწორის რელიგიური დღეობა.

**ახალმთვარეობა** - მთვარის ერთ-ერთი ფაზა.

**ახალმოსახლე** - ახალი მოსახლე, ბინადარი.

**ახალმოშენე** - ვინც ახლად იჩენს კარმიდამოს.

**ახალსოფელი** - სოფლები ამბროლაურის, ახალგორის, გარდაბნის, გორის, გუდაუთის, ზნაურის, ზუგდიდის, თეთრი წყაროს, თიანეთის, კასპის, ლანჩხუთის, მცხეთის, ოზურგეთის, სამტრედიის, სენაკის, სოხუმის, ტყიბულის, ქარელის, ქობულეთის, ყვარლის, ხარაგაულის, ხელვაჩაურის, ხობის რაიონებში.

**ახალუბანი** - სოფლები გორის, თერჯოლის, მცხეთის, ხაშურის, ხულოს რ

**ახალუხალი** - ლხინი ხევსურეთში, ქალ-ვაჟთა სამხიარულო თავყრილობა.

**ახალუხი** - ქართული ხალხური კოსტუმის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი, წელში გამოუყვანილი სამოსელი მამაკაცისა, ღილ-კილოებით შესაკრავი.

**ახალქალაქი** - რაიცენტრი საქართველოს სამხრ. ნაწილში.

**ახალქალაქი** - სოფელი კასპის რ

**ახალქალაქისწყალი** - მდინარე სამხრ. საქართველოში.

**ახალშალიკაანთკარი** - სოფელი დუშეთის რ

**ახალყოილნი** - ახლად დაქორწინებული ქალვაჟი.

**ახალშენი** - სოფლები ახმეტის, გარდაბნის გორის, დუშეთის, ზნაურის, თეთრი წყაროს, კასპის, ლენტეხის, სოხუმის, ჩოხატაურის, ხაშურის, ხელვაჩაურის, ხონის, ხულოს რ.

**ახალშენი** - იგივე კოლონია.

**ახალშობილი** - ბავშვი დაბადებიდან 3-4 კვირის განმავლობაში.

**ახალციხე** - ქალაქი სამხრ. საქართველოში.

**ახალციხე** - სოფლები დუშეთის, კასპის, ყაზბეგის რ

**ახალციხელები** - სამხრ. საქართველოს დიდგვაროვან ფეოდალთა საგვარეულო XII-XIII სს.

**ახალციხელი** ივანე - XII-XIII სს ქართვ. სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე.

**ახალციხელი** შალვა - XII-XIII სს ქართვ. სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, თამარ მეფის ვაზირი.

**ახალწელიწადი** - ახალი წლის პირველი დღე.

**ახალწლისა** - იგივე სექტემბერი.

**ახალწყარო** - სოფელი გარდაბნის რ

**ახალჭალა** - მდინარე ცაგერის რ

**ახალხიბულა** - სოფელი ხობის რ

**ახალხიზა** - სოფელი გორის რ

**ახარისხება** - ალგებრული მოქმედება, მოცემული a რიცხვის რამდენჯერმე თავის თავზე გამრავლება.

**ახატანი** - სოფელი დუშეთის რ

**ახატელი** - სოფელი თელავის რ

**ახაშალა** - ყმა გლეხების კატეგორია აფხაზეთში.

**ახაშენი** - სოფელი გურჯაანის რ

**ახაშმულისღელე** - მდინარე ჭიათურის მახლობლად.

**ახეი** - მდინარე სოხუმის რ

**ახენი** - იგივე აახენი.

**ახეცარა** - სოფელი ოჩამჩირის რ

**ახეჯაკოვა** ლია - რუსი კინომსახიობი.

**ახეხელეზი** - ხუნძების მცირერიცხ. ეთნიკური ჯგუფი.

**ახვაჯა** - სოფელი გუდაუთის რ

**ახვერდიანი** გევორქ - XIX ს სომეხი საზ. მოღვაწე, ლიტ. მცოდნე.

**ახვერდოვი** თედორე - გენერალ-მაიორი, 1807-11 წწ საქართველოს მმართველი.

**ახვლედიანი** გიორგი - დიდი ქართველი მეცნიერი, ენათმეცნიერი.

**ახვლედიანი** ელენე - დიდი ქართველი მხატვარი.

**ახთარი** - XVIII-XIX სს ირანელი პოეტი, ბელეტრისტი, მეცნიერი.

**ახი** - საღირსო სიტყვა.

**ახიბოხი** - მთა გუდაუთის რ

**ახიელი** - სოფელი დუშეთის რ

**ახივაა** - სოფელი ოჩამჩირის რ

**ახიმი** ანდრაშ - XIX-XX სს უნგრეთის პოლიტ. მოღვაწე.

**ახიფო** - მდინარე სოხუმის რ

**ახკალაფა** - სოფელი თეთრი წყაროს რ

**ახკალაფისწყალი** - მდინარე თეთრი წყაროს რ

**ახლა** - ამჟამად.

**ახლად** - ამ მოკლე ხნის წინ.

**ახლავე** - ამწუთშივე.

**ახლამუ** - დასავლელი სემიტი მომთაბარე ტომი.

**ახლო** - მცირე მანძილით დაშორებული.

**ახლობელი** - ნათესავი.

**ახლომახლო** - იქვე არსებული.

**ახლომხედველობა** - სიბეცე, მიოპია.

**ახლოს** - მცირე მანძილზე მდებარე.

**ახმა** - აცმა.

**ახმადულინა** ბელა - XX ს რუსი პოეტესა.

**ახმატოვა** ანა (ნამდვ. გვარი გორენკო) - XX ს რუსი პოეტესა.

**ახმახი** - უშნოდ მაღალი.

**ახმაჯი** - სოფელი ახალგორის რ

**ახმეტა** - ქალაქი აღმ. საქართველოში.

**ახმეტელი** ალექსანდრე - დიდი ქართველი თეატრალური რეჟისორი.

**ახმი** - ფეხის ზურგი; ფეხსაცმლის ნაწილი, რომელიც ფეხის ზურგს მალავს.

**ახნაზაროვი** არტემ - ქართვ. მწერალი, ჟურნალისტი. მთარგმნელი.

**ახო** - საყანედ გაკაფული ტყე.

**ახოვანი** - ტანად დიდი და ძლიერი.

**ახოობა** - ახოიანი მიწათმოქმედების სისტემასთან დაკავშირებული სათემო დღესასწაული.

**ახორი** - იგივე თავლა.

**ახორხლილი** - ერთმანეთზე უწესრიგოდ დაყრილი.

**ახოსალარი** - მეჯორე (საბა).

**ახპატი** - სამონასტრო კომპლექსი სომხეთში (ალავერდის რ).

**ახრასი** - 15-23 მ სიმაღლის ლამაზვარჯიანი მარადმწვანე ხე საპოტისებრთა ოჯახისა.

**ახრისი** - სოფელი გორის რ.

**ახსარგინა** - სოფლები ცხინვალის და ჯავის რ

**ახსითან I** - შირვანშაჰი ქესრანიდების დინასტიისა XII-XIII ს

**ახსირხვა** - მთა აფხაზეთის ქედზე.

**ახტა** - ცხენი და ვირი მამალი (საბა).

**ახტალა** - დაბა სომხეთის თუმანიანის რ

**ახტალა** - ტალახით სამკურნალო კურორტი გურჯაანის რ

**ახტაჯანა** - მეტისმეტად თამამი გოგონა.

**ახტერლუკი** - გემის ტრიუმში გამოყოფილი სათავსი, სადაც სურსათს ინახავენ.

**ახტერპიკი** - გემის კიჩოს განაპირა ნაკვეთური.

**ახტერშტევენი** - გემის კიჩოს ქვედა ნაწილი.

**ახტირკა** - ქალაქი უკრაინაში (სუმის ოლქი).

**ახტუბა** - მდ. ვოლგის მარცხენა ტოტი ვოლგოგრადთან.

**ახტუბინსკი** - ქალაქი რუსეთში (ასტრახანის ოლქი).

**ახუთი** - სოფელი ჩხოროწყუს რ

**ახუკდარა** - უღელტეხილი აფხაზეთში.

**ახუნდი** - მაჰმადიანებში სჯულის მცოდნე.

**ახუნდოვი** - მირზა ფათალი - XIX ს აზერბაჯანელი მწერალი-განმანათლებელი.

**ახუნი** - მთა ქართლის ქედის დას. განშტოებაზე.

**ახუპაჭი** - მთა გულრიფშის რ

**ახურიანი** - მდ. არაქსის მარცხ. შენაკადი (სომხეთი).

**ახუნა** - სოფლები გუდაუთის და ოჩამჩირის რ

**ახქერფი** - სოფელი მარნეულის რ

**ახქერფისწყალი** - მდინარე ბოლნისის რ

**ახშაანი** - სოფელი ახმეტის რ

**ახშარუმოვი** დიმიტრი - XIX ს რუსი საზ. მოღვაწე, პეტრაშეველი.

**ახშნისველები** - სოფელი ახმეტის რ

**ახჩა** - თურქული ვერცხლის ფულის ძირითადი ერთეული (XIV ს-დან).

**ახჩა-ყაია** - გაუდინარი ღრმული ყარაყუმის ჩრდ.-დას. ნაწილში.

**ახცუ** – ქედი დას. კავკასიონზე.

**აჯა** - ძვ. საქართველოში ხელისუფლებისადმი მიართული თხოვნა-ვედრება.

**აჯამეთი** - სოფელი ზესტაფონის რ

**აჯამი** - რეგვენი, ბრიყვი, ჯიუტი.

**აჯამურა** - მდინარე ზესტაფონის რ

**აჯამფაზრა** - სოფელი ოჩამჩირის რ.

**აჯანი** იზაბელ - ფრანგი კინომსახიობი.

**აჯანტა** - ბუდისტური სამონასტრო კომპლექსი დას. ინდოეთში.

**აჯანყება** - მასობრივი შეიარაღებული გამოსვლა.

**აჯაქვი** - სოფელი ოჩამჩირის რ

**აჯასპი** - მძიმე ლითონის გოგირდმჟავა მარილის (სულფატის) კრისტალჰიდრიტის ტექნ. სახელწოდება.

**აჯაფსანდალი** - ბოსტნეულისაგან მომზადებული კერძი.

**აჯახუ** - სოფელი გუდაუთის რ

**აჯემიანი** ვართან - სომეხი თეატრალური რეჟისორი.

**აჯენი** - აშშ-ს ზოგიერთი რაკეტმატარებლის უკანასკნელი საფეხური.

**აჯიისქენდი** - სოფელი მარნეულის რ

**აჯიკა** - ცხარე საკმაზი.

**აჯილაკი** - მესხურ-ჯავახური დარბაზის კუთხეში საქორწილოდ გამართული, ხალიჩებით დამშვენებული მაღალი ტახტი ნეფე-დედოფლისათვის.

**აჯილდა** - სქესობრივად მომწიფებული დაუკოდავი ულაყი.

**აჯიმჩიდრა** - სოფელი და მღვიმე გუდაუთის რ

**აჯიტატო** - (მუს.) აღგზნებით, აღტყინებით).

**აჯიღა** - ქალის წამოსასხამი ძვ. საქართველოში.

**აჯი-ჩალაბი** - XVIII ს აზერბ. სახელმწიფო მოღვაწე, შაქის სახანოს დამაარსებელი და პირველი ხანი.

**აჯმატვარა** - სოფელი გუდაუთის რ.

**აჯმერი** - ქალაქი ინდოეთში.

**აჯრა** - სოფელი ოჩამჩირის რ

**აჯხახარა** - სოფელი გუდაუთის რ.

**აჰა** - რისამე-მოწოდება-მიცემისას ხმარებული ნაწილაკი.

**აჰაგარი** - მთის მასივი საჰარაში (ალჟირი).

**აჰანგარანი** - ქალაქი უზბეკეთში (ტაშკენტის ოლქი).

**აჰასფერი** - შუა სს შექმნილი ქრისტიანული თქმულებების გმირი, ყარიბი ებრაელი.

**აჰბიუქი** - სოხუმის ჩრდ.-ით მუსტიე ხანის ნამოსახლარი სახელოსნო.

**აჰეტატონი** - ქალაქი ძვ. ეგვიპტეში.

**აჰვაზი** - ქალაქი სამხრ. ირანში.

**აჰიბოხი** - მთა აფხაზეთში, ბზიფის ქედზე.

**აჰიჩატრა** - ძვ. ინდური ქალაქი მდ. განგის ველზე.

**აჰიჯო** აჰმადუ - XX ს კამერუნის სახელმწიფო მოღვაწე.

**აჰმადაბადი** - ქალაქი დას. ინდოეთში.

**აჰმადია** - 1880 წ დაარსებული ინდურ-ისლამური სექტა.

**აჰმადნაგარი** - შუა სს ფეოდ. სახელმწიფო ინდოეთში და ქალაქი დღევანდელ ინდოეთში.

**აჰმედი** - ოქროს ურდოს მმართველი (XV ს.)

**აჰმედი** თაჯედინ იბრაჰიმ იბნ ჰიზრი - XIV-XV სს თურქი პოეტი.

**აჰმედი** ფახრუდინ - XX ს ინდოეთის პოლიტ. და სახელმწ. მოღვაწე.

**აჰმედოვა** ფრანგიზ - აზერბაიჯანელი მომღერალი ქალი.

**აჰმედოვი** რაჰიმ - XX ს უზბეკი მხატვარი.

**აჰო** იუჰან - XIX-XX სს ფინელი მწერალი და ჟურნალისტი.

**აჰრამი** („პირამიდები“) - ეგვიპტის (კაირო) ყოველდღიური გაზეთი.

**აჰრიმანი** (არიმანი) - ბოროტი ძალა ზოროასტრულ რელიგიაში.

**აჰურამაზდა** - უზენაესი ღვთაება ზოროასტრულ რელიგიაში, ორმუზდის ძველსპარსული სახელი.

(4322)













***ამით დასრულდა (საკროსვორდო) ენციკლოპედია-ლექსიკონის „პირველი ტომის“ შედგენა-ბეჭდვა; მის შემდგომ ბედზე ახლო მომავალში ვისაუბრებთ.***

*ფანტაზიის დიდოსტატები*

# ზიგმუნდ ფროიდი



**ამ ფსიქოანალიტიკოსს ახლა ყველა იცნობს და ასევე ყველამ იცის, რომ მისი მოძღვრების მოხმარება ძვირი სიამოვნებაა (...მიუხედავად ამისა, დღეს ყოველი მე-6 ამერიკელი და მე-7 ევროპელი მისი მეთოდებით მკურნალობს. ადამიანი, რომელმაც ასეთი შემოსავალი გაუჩინა ფსქოლოგებს, იყო ზიგმუნდ ფორიდი. მისი თეორიები ბევრისათვისაა ცნობილი, თავად იგი კი კვლავაც გამოუცნობ პიროვნებად რჩება**

**– მეზიზღებიან ეს მჯღაბნელები! – მძვინვარებდა ფროიდი და ხელში თავისი ბიოგრაფიის ახლად გამოცემულ ეკზემპლარს ატრიალებდა. – ათასჯერ მითქვამს, რომ საზოგადოებრიობას უფლება არ აქვს ჩემი პირადი ცხოვრება გაიცნოს. მოვკვდები და – მერე რაც უნდათ, ის ქნან! ამ ვიღაც ცვეიგს ჩემი ცხოვრების უკვდავყოფა მოსდომებია... არადა, მას გარკვევით მივწერე – „ვინც ბიოგრაფობას აპირებს, წინასწარვეა განწირული მატყუარობისთვის-მეთქი“**

ფროიდის თანამედროვენი გაოცებულნი იყვნენ - მაინც ვინ არისო ეს კაპრიზული კაცი?! მთელი ცხოვრება სხვის პირად ამბებში იქექება და თავისას საგულდაგულოდ მალავსო... ვინ არის ეს პროფესორი, რომელმაც მთელ კაცობრიობას საშინელი ინსტინქტების ქონა დასწამა, რომ თითქოს ყველა მამაკაცი ლტოლვას განიცდის საკუთარი დედისკენ და ყველა ქალი ქვეცნობიერად მზადააო საკუთარ მამასთან სარეცელი გაინაწილოს?! თავად მისი მშობლები ვინ იყვნენ და როგორ აღზარდესო საკუთარი შვილი?!

ამ კითხებზე პასუხის გაცემა ფროიდს არ უნდოდა და მის პოტენციალურ ბიოგრაფებს აუდიენციაზე უარს ეუბნებოდა. იგი საკუთარი ქვეცნობიერების სარდაფში არავის უშვებდა

* * *

ზიგმუნდ ფროიდი 1856 წლის 6 მაისს დაიბადა პატარა ქალაქ ფრეიბერგში, რომელიც პრუსია-პოლონეთის საზღვართანაა. ხუთი ქუჩა, ორი დალაქი, სამიოდე ფუნდუკი და დამკრძალავი ბიურო - აი, ყველაფერი, რაც ამ ქალაქის ავლა-დიდებას შეადგენდა. ქალაქი ვენიდან 240 კმ მანძილზე იყო დაშორებული და მჩქეფარე დედაქალაქური ცხოვრების არანაირი სურნელება იქმადე არ აღწევდა. ფროიდის მამა ფართლეულით მოვაჭრე ღარიბი კაცი იყო... მან მესამე ცოლად შვილის ტოლი გოგონა შეირთო, რომელიც ყოველ წელს თითო შვილს უჩენდა მას... შვილებში პირველი სწორედ ზიგმუნდი გახლდათ.

1859 წელს მთლად გაკოტრებული იაკობ ფროიდი (ზიგმუნდის მამა) საშოვარის საძებრად ქალაქიდან ქალაქში გადასვლას იწყებს, ერთხანს ლეიფციგში ცხოვრობდნენ, შემდეგ ვენაში გადავიდნენ, მაგრამ არც ამ უკანასკნელმა მისცა მათ რაიმე სარჩო-საბადებელი... „სიღარიბე და სიღატაკე, სილატაკე და უკიდურესი ხელმოკლეობა“ - ასე იხსენებს საკუთარ ბავშვობას თავად ზიგმუნდ ფროიდი. თუმცა აქვე ამატებს, რომ მცირეწლოვანი ასაკიდანვე კარგი სწავლით გამოირჩეოდა, რომ დიდი ინტერესით ეცნობდა ანტიკურ ფილოსოფიას და ლიტერატურას, რომ თავიდანვე დაეუფლა რამოდენიმე უცხო ენას, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ შურს აღძრავდა მის თანატოლებს შორის და ფრიადოსანი ზიგმუნდ ფროიდი ყველასაგან, თვით მასწავლებლებისგანაც კი, გარიყული იყო. შესაძლოა, სწორედ სკოლის წლების ამგვარმა დინებამ განსაზღვრა მისი ერთი უხერხული კომპლექსი, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მომავალი ფსიქოანალიტიკოსი საუბრისას არავის უყურებდა თვალებში და ეს, მორცხვობის გამოისობით კი არა, უფრო საზოგადოებისადმი პროტესტით მოსდიოდა...

* * *

როგორც იმ პერიოდში ბევრ ღარიბ ევროპელ ყმაწვილს დაემართა, ზიგმუნდიც გაიტაცა პოლიტიკამ და მარქსიზმმა. მისი ლიცეუმისდროინდელი მეგობარი ჰენრიხ ბრაუნი, რომელმაც 1883 წელს კაუტსკისთან და ლიბკნეხტთან ერთად **Die Neue Zeit** (გერმანელ სოციალ-დემოკრატთა ორგანო) დაარსა, ზიგმუნდს სათანამშრომლოდაც კი იწვევდა. ფროიდმა კი თავადაც არ იცოდა მაშინ, თუ რა სურდა. ერთხანს სამართალმა გაიტაცა, მერე ფილოსოფიასაც ჩაუჯდა, მაგრამ მალევე იგრძნო ზიზღი ორივეს მიმართ და სამედიცინო სფეროს მიაპყრო მზერა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მისი მასწავლებლები ყოველთვის კრიტიკულად იყვნენ განწყობილნი ზიგმუნდის მრავალმხრივი გატაცებების მიმართ, არავინ თვლიდა მას სერიოზულ ადამიანად. უფრო მეტიც - ისინი მას ზერელე ცოდნის, არაკომპეტენტურ პიროვნებად მიიჩნევდნენ.

სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ფროიდმა ფიზიოლოგიის შესწავლას მიჰყო ხელი და ამ პროფილის ერთ დაწესებულებაში მთელი ექვსი წელი (1876-1882) იმუშავა, რაც მისი ცვალებადი ხასიათიდან გამომდინარე, საკმაოდ უცნაური მოვლენა გახლდათ. იგი ყოველგვარი გაცნობიერების გარეშე, უბრალოდ ინტერესისა გამო, იკვლევდა რაღაც ჭია-ღუების და მისთანების სასქესო ორგანოებს (რისთვისაც ხელფასს უხდიდნენ!)... „არავის არასოდეს უნახავს ამ პაწაწა არსებების სასქესო ორგანოები“ - ამაყად აცხადებდა ზიგმუნდ ფროიდი და თავადც ვერ გრძნობდა, თუ როგორ იბადებოდა მასში ფსიქოანალიტიკოსი.

1882 წელს ფროიდს მობეზრდა ჭია-ღუები და იგი კლინიკური ფსიქიატრიის პროფესორის, მეინარტის ლაბორატორიაში გადავიდა სამუშაოდ, რათა ადამიანის, ძაღლის თუ კატის ჩანასახის ტვინი ეკვლია. ეს საინტერესო იყო, მაგრამ ფინანსურად ნაკლებად მომგებიანი. ფროიდი უკვე პატარ-პატარა სტატიებს წერდა, წიგნიც კი გამოსცა მაშინ პოპულარალული თემის, აფაზიის (ინსულტგადატანილი ავადმყოფების მეტყველების დარღვევის) შესახებ, მაგრამ მისთვის სერიოზული ყურადღება არავის მიუქცევია. 9 წლის განმავლობაში მან ამ წიგნის მხოლოდ 257 ეკზემპლარი გაყიდა. ასე რომ, იგი კვლავ უფულო და უსახელო ცხოვრების კლანჭებში იყო მოქცეული.

...და ამას ზედ სიყვარულიც დაერთო. ერთხელ, სეირნობისას მან 21 წლის ფერმკრთალი, ნაზი, ტანმორჩილი, მაგრამ დახვეწილი მანერების მქონე მარტა ვერნეი გაიცნო... ფროიდის ფლირტი საკმაოდ თავისებური გახლდათ; რამოდენიმე თვის ნაცნობობამ მას ასეთი ბარათი მიაწერინა სატრფოსადმი - „ვიცი, რომ შენ არ ხარ ისეთი ლამაზი, როგორიც მხატვრებსა და მოქანდაკეებს ესმითო“. გარდა ამგვარი „არშიყისა“, ფროიდს საშინელი ეჭვიანობაც დასაჩემდა და ეს გამუდმებული დავაკამათის მიზეზი ხდებოდა მოტრფიალე წყვილს შორის. ასეა თუ ისე, ფროიდი მაინც მიჰყვებოდა სიყვარულის დინებას, მაგრამ დაქორწინება მას არაფრით შეეძლო, რადგან ჯიბეში გროშიც კი არ გააჩნდა.

1882 წელს ფროიდი ვენის ჰოსპიტალში იწყებს მუშაობას ექიმის ასისტენტად. იქვე ატარებს ფასიან გაკვეთილებს ყმაწვილი სტაჟიორებისათვის, მაგრამ ეს დიდი ვერაფერი ხეირი იყო მისთვის. ამავე პერიოდში მას ნევროპათოლოგიის პრივატ-დოცენტის წოდება მიენიჭა, მაგრამ არც ამას წაუმატებია რამ მისი ეკონომიური სიდუხჭირისათვის.

1884 წელს, როგორც იქნა, ჩნდება იმედი გამდიდრებისა...

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*



**(ფოტოები იხილეთ მე-2 გვერდზე)**

**თარაზულად**: 1. **იხილეთ ფოტო №1**. 5. უსაფუძვლო, უმიზეზო, ანუ როგორი? 10. უცხოელი, რომელიც სამუდამოდ დასახლდა ამა თუ იმ ქვეყანაში. 11. უფერული სითხე, რომელიც მიმოიქცევა ადამიანისა და ცხოველის უჯრედთაშორის სივრცეში. 12. ერთი მშვენიერი ცხოველის სახელის მქონე ქართული ცეკვა. 13. არატრადიუციულ ქრისტიანთა უზენაესი არსება. 15. სარაინდო რომანების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ავტორი. 17. რა ჰქვია ერთ-ერთ ძმა ბაჯოს, იტალიელ ფეხბურთელს? 20. როგორი ცხოვრებაა თავქარიანი ადამიანისათვის სასურველი? 21. აშშ მსახიობი მამაკაცი, ჯორჯ.... 22. რძის პროდუქტი. 25. საზღვაო „პროფესია“, როგორც წესი, უპატრონო ბიჭუნებისა. 26. შეზღუდული გონებისა და ფარისევლური ქცევის ადამიანი... იგივე ობივატელი 27. **იხილეთ ფოტო №2**. 28. საოპერო ხელოვნების ეტალონად მიჩნეული მომღერალი. 30. მაგიდა მართლმადიდებელთა ეკლესიაში, რაზედაც საღმრთო წიგნებს დებენ ლოცვის დროს. 31. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი, სანდრო....

**შვეულად**: 1. **იხილეთ ფოტო №4**. 2. ქალთა ტანვარჯიშის სპორტული ინვენტარი. 3. გვარი დინასტიისა ჯონ გოლზუორთის ყველაზე ცნობილი რომანიდან. 4. სპორტული ავტომობილი. 6. ლადო ასათიანის ლექსი. 7. **იხილეთ ფოტო №3**. 8. (..........) იოსელიანი, კინორეჟისორი. 9. ერთობ დახვეწილი ტექნიკა ჰქონდა ბატონ დავით ყიფიანს... ანუ როგორი? 14. ძველქართული წელთაღრიცხვის სახესხვაობა. 16. პროფესია, რომლის ავ-კარგსაც საკუთარი კუჭით განვიცდით. 18. ორენოვანი ტექსტი. 19. კედლის ან ჭერის ელექტროსანათი მოწყობილობა. 23. 1982 წლის ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა. 24. ძველქართველ პერსონაჟთა მიმოწერის ერთეული. 29. ტოპონიმი იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებიდან“.

**თარაზულად:** 1. ერთჯერადი წყალში ხსნადი სუპების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა. 3. XX საუკუნის დასაწყისში ბრიტანელი ბადენ-პოუელის მიერ დაარსებული არასასკოლო აღზრდის სისტემა. 7. როგორი შეიძლება იყოს მთვარე? 10. XX საუკუნეში მოღვაწე ლატვიელი მწერალი, ანდრეის.... 17. რა ჰქვია რიტორიკაში აზრის თანდათანობით განვითარებას? 18. რუსეთში მოღვაწე შვეიცარიელი მეცნიერების, მამა-შვილის, დანიელის და იოჰანესის გვარი. 19. რა იყო ბრუნეი დიდი ბრიტანეთისთვის 1888-1983 წლებში? 22. წერტილის მდებარეობის განმსაზღვრელი სიდიდე წრფეზე, სიბრტყეზე ან სივრცეში. 23. კითხვა-პასუხზე აგებულ სწრაფ თამაშს ამერიკელები **Quiz**-ს უწოდებენ... რა ერქვა ასეთ თამაშს კომუნისტობისას? 24. სახელი ქალისა ჰანოვერთა დინასტიიდან, რომელიც ყველაზე დიდი ხანი (64 წელი) მართავდა ინგლისს. 27. აქ იმ ტერიტორიის სახელი ჩაწერეთ, რასაც იცავს ხმალშემართული ქერუბიმი ქრისტიანული წარმოდგენებით. 28. თირკმელების ანთება – სამედიცინო ენაზე. 29. რა უძღოდა წინ საბჭოთა პერიოდის კინოთეატრებში მხატვრულ ფილმს? 34. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის არაქართული სინონიმი. 35. შოტლანდიის პოეტური სახელი. 36. სომხური წარმოშობის თანამედროვე ამერიკელი ჩოგბურთელი. 40. მცენარე.... ისხამს წვრილ, არასასიამოვნო სუნის მქონე, შავ ნაყოფს. 41. რაიმე გამოსახულების ანაბეჭდი ქაღალდზე. 42. მაჰმადიანური ქვეყნის მმართველის ბრძანებულება ზოგადად. 43. აქ ქალღმერთის სახელწოდება ჩაწერეთ, რომლის ჯიბრზეც ჰერაკლე წარმატებებს აღწევდა. 48. აშშ-ს კოსმოსური ცენტრი. 49. რა ერქვა კუროსავას, იაპონელ კინორეჟისორს? 50. ძველი ბერძენი და რომაელი კაცების სამოსი. 51. დიდტირაჟიანი გამოცემებისათვის ხმარებული ლითონის მთლიანი საბეჭდი ფორმა. 55. ლერმონტოვის ნაწარმოების ვაჭარი პერსონაჟიც და 1947 წელს შექმნილი „ბესტსელერის" ავტორიც, რომლის ქმნილების ხილვა ყველას შეუძლია მოზამბიკის დროშაზე. 56. ქალაქი რუსეთში, კრასნოიარკის მხარეში. 57. კონსტანტინე არსაკიძის ლაზური მეტსახელი. 62. გრაფიკული ინფორმაციის მისაღებად ხმარებული საბეჭდი კომპიუტერული მოწყობილობა. 63. პირველი ტრიუმვირატის წევრი იულიუს კეისართან და ლეპიდუსთან ერთად ძველი რომის ისტორიაში. 64. გაიხსენეთ როგორ გამოითქმის „მე" ლათინურად და ჩაწერეთ. 65. სპორტსმენის ზედა სამოსი. 70. პირობითი ასოითი ნიშანი. 71. თუ იცით რა მდებარეობს პარიზში ლათინურ კვარტალში? 72. მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი საეკლესიო ტიტული. 73. ძველი ბერძნული ასო, მისი სახელი წარმოდგა ძველი ფინიკიური ანბანის ასოსგან, რომელიც გამოისახებოდა ხარის თავის სიმბოლოთი. 77. ფოსტაში ან ბიბლიოთეკაში ხმარებული ციფრობრივი მაჩვენებელი. 78. ჭუჭრუტანიდან ბნელში შემოსული სინათლის სხივი. 79. მან საქმიანობა სარეკლამო აგენტობით დაიწყო, შემდეგ კი მეზობელი სახელმწიფოს მმართველი გახდა... მის სამშობლოში კი დღესდღეობით მისი გვარის მქონე არავინ არსებობს, რა გვარი იყო იგი? 84. ქალაქი რუსეთში. 85. რა არის მოციონი თავისი არსით? 86. ალპიური ყვავილი. 87. ქალაქი შოტლანდიაში. 91. სახლს მიშენებული ღია აივანი. 92. XX საუკუნის სერბი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ივო.... 93. კინორეჟისორი ფილმებისა „კოსმიური ოდისეა - 2001", „მექანიკური ფორთოხალი" და „ფართოდ დახუჭული თვალები". 94. ტექნიკური დანიშნულების სითხის შესანახი ჭურჭელი. 99. ფარული ოცნება. 100. რა გვარი იყო პუშკინის მკვლელი? 101. რა ჰქვია გრძელ შალაშინს? 102. ესპანეთის კომუნისტური პარტიის დამაარსებელი დოლორესის გვარი ჩაწერეთ აქ. 107. გამცილებელთა საერთო სახელი. 108. პოლიციის მოხელე მეფის რუსეთში. 109. ბალტიისპირა სახელმწიფოს დედაქალაქი. 114. ლიტერატურული ქმნილების სახესხვაობა. 115. დაბალი ადამიანების ეპითეტი-მწვანილი. 116. (ეს კინო ნანახი უნდა გქონდეთ) რა ედო ბაბეტას ჩანთაში? 117. ცუდი ამინდი. 121. ეს სიტყვა ძველბერძნულად „დაჭიმვას" ნიშნავს, ფრანგები ზრდილობის საზომად იყენებენ, ჩვენ კი მას მუსიკიდან ვიცნობთ... თუ მიხვდით, ჩაწერეთ. 122. სხვათა ქმედების მეთვალყურე-განმსჯელი პიროვნება. 123. როგორია ხოლმე, ხშირად, ჩვილი გულის მქონე და ადვილად აღგზნებადი ადამიანი? 124. ავტორი პირველი ფანტასტიკური ნაწარმოებისა „ფრანკენშტეინი, ანუ თანამედროვე პრომეთეოსი". 128. მწვანით დაფარული



მინდორი. 129. ფრანგი დრამატურგი, კლასიციზმის ერთ-ერთი წარმომადგენელი. 130. ცისფერი რა აღწერა ბერნჰარდ კელერმანმა თავის რომანში, რომელშიც ტიტანიკის დაღუპვის ამბავია მოთხრობილი? 131. საფეხბურთო ამპლუა. 137. აქ თამაშის სახელწოდება ჩაწერეთ, რომელსაც თამაშობენ საოცრებათა ქვეყანაში ფლამინგოებითა და ზღარბებით (ცხადია ლუის კეროლის ნაწარმოებში). 138. ვაჭრებისა და ქურდების მფარველი ღვთაება ძველ ბერძნულ მითოლოგიაში. 139. როდიონ რასკოლნიკოვის და თავადი მიშკინის ლიტერატურული „მამა". 143. წინააღმდეგობის გაწევის ერთ-ერთი ფორმა. 144. ძვირფასი ქვებით მოჭედილი ყელსაბამი. 145. ნეკროპოლისების მფარველი ტურისთავიანი ღმერთი ძველ ეგვიპტურ მითოლოგიაში. 146. მერყევი, ეჭვიანი, არამტკიცე ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვა. 147. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ავტორი პიესისა „კალიგულა". 148. არქიტექტორი, რომელსაც მისსავე აშენებულ ქალაქში, ერევანში, ძეგლი უდგას. 149. რომელი ცხოველი ასოცირდება ავტომობილთან? 150. ცოცხალი ორგანიზმების შემადგენელი ორგანული ნივთიერება.

**შვეულად:** 1. მაიმუნის მოკლეცხვირიანი ჯიში. 2. იური ტინიანოვს ეკუთვნის რომანი – „ვაზირ მუხტარის სიკვდილი"... ვინაა ხსენებული ვაზირ მუხტარი (გვარი)?. 4. მე-17-18 საუკუნეში მოღვაწე ფრანგი ასტრონომების, მამა-შვილის, ჯოვანი დომენიკოსა და ჟაკის გვარი. 5. გონებრივი მუშაობის ერთ-ერთი პროდუქტი. 6. თანამედროვე ესპანელი ფეხბურთელი. 8. ცოცხალი ორგანიზმების დაბერების შემსწავლელი მეცნიერება. 9. ბალტიისპირა სახელმწიფოს ფულის ერთეული. 11. მსხვილი ნაწლავის დაავადებების მკურნალი ექიმი. 12. გლოვის სახესხვაობა. 13. რა ერქვათ საზღვაო აკადემიის უფროსკლასელებს მეფის რუსეთში? 14. პირზე დასადები რამ. 15. კენტავრების მამა ძველ ბერძნულ მითოლოგიაში. 16. ადამიანის მანკიერი თვისება, ერთ-ერთი სასიკვდილო ცოდვა შვიდთაგან ქრისტიანთათვის. 20. ქალაქი ნიდერლანდებში. 21. ეგზოტიკური ყვავილი ზალმან კინგის ერთ დროს ძალზედ გახმაურებული ფილმის სათაურიდან. 25. იულიუს კეისრის მკვლელი. 26. რა ჰქვია მონეტების შეგროვებას? 30. ინერტული აირი. 31. როგორი ეკლესიაა ინგლისში? 32. ფიდე-ს ექსპრეზიდენტი. 33. რა ჰქვია სიცილისა და ტირილის ზღვარზე მყოფი ადამიანის ემოციების გამოხატვას? 37. გახსოვთ „გიგლა გეყოფა სწავლა"-ო... ჰოდა რაო, რა არისო კარგი, გიგლაო? 38. რაიმეს გაკეთების შესაძლებლობა. 39. მსუბუქი ჟანრის, „მცირე ფორმების" თეატრი. 44. იუდას შემდეგ სათქმელი სიტყვა. 45. სპორტული ნაგებობა ველოსპორტის შეჯიბრებებისათვის. 46. ბორის ბურდას მშობლიური ქალაქი. 47. აცტეკთა იმპერიის დამანგრეველი კონკისტადორი. 52. კუნძული ეგეოსის ზღვაში. 53. ზემოთ უკვე ხსენებული ბერნჰარდ კელერმანის სხვა რომანი. 54. საკერავი მანქანის გაუმჯობესებული მოდელის შემქმნელი ისააკის გვარიც გაიხსენეთ ბარემ. 58. რაიმე იდეის გახელებული დამცველი. 59. სესილია თაყაიშვილის კინოროლი „დათა თუთაშხიაში". 60. მეცხვარეების უფროსი. 61. რა ჰქვია კომბლეს ძროხას ერთ პოპულარულ ქართულ მულტფილმში? 66. ზღვის ყაჩაღი. 67. ცოდნის გადაცემის სიმბოლო, გასანათებელი საშუალება. 68. რა გვარი იყო ავანტიურისტ ჯუზეპე ბალზამოს ბიცოლა? 69. პოსტიუგოსლავიური სახელმწიფო. 74. ძველი ბერძენი პოეტი. 75. რუსი მთარგმნელი, დრამატურგი და ხელოვნების ისტორიკოსი, პიოტრ პეტროვიჩ... (1855-1925). 76. მთავარი პერსონაჟი ვიქტორ ჰიუგოსეული „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრისა". 80. რა სახელი აერთიანებთ მორავიას და სორდის? 81. როგორ ითარგმნება ძველბერძნულად სიტყვა „მოხეტიალე"? 82. ძვირფასი ქვა. 83. ტვირთის მზიდველი ხარი. 88. ამბრაზურას გადაფარებული 19 წლის ჭაბუკის გვარი გაიხსენეთ ახლა. 89. რა მოიგონა ვიქტორ ორვილემ ერთი ლეგენდის თანახმად მას შემდეგ, რაც დიდი ხანი უყურებდა საკნის ფილებს? 90. ყვავილების შეკონვის იაპონური ხელოვნება. 95. გლობალური საკომპიუტერო ქსელი. 96. გიორგი ლეონიძე:

„რა საჭიროა ლექსისთვის ტაში
ყველა ხევსური, ვიცი..."

ვინ არის ყველა ხევსური ამ ლექსის თანახმად? 97. „არაჩვეულებრივი გამოფენის" ნეკროპერსონაჟი. 98. ცნობილი რუსი მსახიობი ქალი, ოლგა.... 103. აქ მისი სახელი ჩაწერეთ, ვისაც პირში უნდა ვუძრახოთ, ერთი ანდაზის თანახმად. 104. რაიმეს შესრულების ქრონოლოგიური ცხრილი. 105. ისტორიული ოლქი ესპანეთში. 106. ჯულიეტა მაზინას კინოროლი. 110. მიხაილ სვეტლოვის ლექსიც და სახელმწიფოც ვესტ-ინდოეთში. 111. ქალის სასიმღერო ხმა. 112. სპილოს მსგავსი გადაშენებული ცხოველი. 113. საბავშვო სათამაშო – რაიმეს ძალიან სწრაფი ცვლილების სიმბოლო. 118. სათავადაზნაურო ტიტული ევროპაში. 119. ვინ იყო, ვთქვათ, კარლ ლუისი? 120. მაგარი კრისტალური ქანი. 125. მუსიკალური ინსტრუმენტი. 126. ორგანული ნაერთი, მიიღება სხვადასხვა სპირტისაგან ორი ატომი წყალბადის გამოცლით. 127. გადაადგილება საომარ ვითარებაში. 132. თავისი ნაყინით განთქმული ჩვენი ქალაქი. 133. ქალაქი იაპონიაში, კუნძულ ჰონსიუზე. 134. **იხილეთ ფოტო**. 135. იაპონიის მთავარი კუნძული. 136. საბუნებისმეტყველო მეცნიერება. 140. ქართული კინო კავკასიური ნაგაზის შესახებ. 141. უუფლებო არსება. 142. მხარზე გადასაკიდი ხურჯინი.

**შეადგინა**
**ვახო ელერდაშვილმა**



# ფანტაზიორი

რუბრიკას უძღვება
ვახტანგ ელერდაშვილი
(პასუხები მე-14 გვერდზე)

***კითხვა №1***

ჯილეტ ბერჯესმა თქვა - „არსებობს ერთადერთი შემცვლელი ფანტაზიისაო...“

**რა? (11 ქ.)**

***კითხვა №2***

ჩვენს თანამედროვე ეპოქაში მექსიკაში გამოსცეს კანონი, რომელიც სამოსის ამ ნაწილის ზომების ზღვარს განსაზღვრავს.

**რომლის? (5 ქ.)**

***კითხვა №3***

პითაგორელები, რომლებიც რიცხვების თეორიის მამამთავრებად ითვლებიან, ძალზედ ღრმად სწავლობდნენ რიცხვებსა და კანონზომიერებებს და ხშირად საერთოდ სცილდებოდნენ მათემატიკურ ლოგიკას. ასე მაგალითად, პითაგორელებს მიაჩნდათ, რომ ლუწი რიცხვები მამაკაცებს აღნიშნავდნენ, კენტები კი - 3-იდან დაწყებული - ქალებს.

**რის სიმბოლო იყო, მათი აზრით, რიცხვი 5? (7 ქ.)**

***კითხვა №4***

ერთხელ იტალიის ქალაქ ბოლონიაში ერთი სახლი გაქურდეს, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახლის ეზოს ერთი წარწერა ამშვენებდა... ქურდმა აღნიშნულ წარწერას ასეთი კომენტარი გაუკეთა - „თქვენ ნამდვილად ცილს სწამებთ ასეთ მშვენიერ ცხოველს!“

**რა ეწერა ეზოს კარზე? (4 ქ.)**

***კითხვა №5***

ახლა მთელ მსოფლიოში პირველი მეორეზე მეტად ფასობს, თუმცა ძველ არაბულ სამყაროში პირიქით იყო. და საერთოდ, მეორე დიდხანს უწევდა კონკურენციას პირველს და მხოლოდ XIX საუკუნეში დათმო თავისი პოზიციები.

**რა არის პირველი და რა მეორე? (6 ქ.)**

***კითხვა №6***

როგორც ცნობილილია,ძველ ეგვიპტეში გამარჯვების სიმბოლოდ კატა ბუბასტისი ითვლებოდა...

**რა გამოხატავდა ეგვიპტეში ბოროტებასა და წესრიგის დარღვევას? (10 ქ.)**

***კითხვა №7***

რაც არ უნდა საოცარი იყოს ეს, „მწვანე ქვეყანაში“ უფრო ცივა, ვიდრე „ყინულის ქვეყანაში“

**რომელ ქვეყნებზეა საუბარი? (12 ქ.)**

***კითხვა №8***

ერთხელ იაპონური ფირმა „სონის“ ერთ-ერთი წამყვანი კონსტრუქტორი დაღლილ-დაქანცული დაბრუნდა სახლში და დასვენება უნდოდა, მაგრამ ვერაფრით მოახერხა ეს, რადგან მისი შვილები მუსიკას უსმენდნენ...

**რა გამოიგონა მან? (8 ქ.)**

***კითხვა №9***

**რა იყო წმინდა პრაქტიკული მიზეზი იმისა, რომ ძველეგვიპტელი ქურუმები პირწმინდად იპარსავდნენ თავს? (10 ქ.)**

***კითხვა №10***

პატრიცია კაასს, მისივე სიტყვების თანახმად, ძალიან უყვარს „ეს“ ხალხი; იგი მათ პატარა ბავშვებს ადარებს, რადგან ისეთივე გამომგონებლები და ფანტაზიორები არიან, როგორც ისინი

**რა პროფესიისა ეს ხალხი? (11 ქ.)**

***კითხვა №11***

ამბობენ - „სიყვარული აღგვამაღლებს“ და ფრთებს გვასხამსო...

**გაიხსენეთ ჩვენი პლანეტის უძლიერესი არსება, რომელსაც სიყვარული ფრთებს პირდაპირი მნიშვნელობით ასხამს? (7 ქ.)**

***კითხვა №12***

გაიუს იულიუს კეისარმა დიდი სიამოვნებით მიიღო და პრაქტიკულად ისარგებლა იმ წინადადებით, რაც მას დაფნის გვირგვინის გამუდმებული ტარების უფლებას აძლევდა.

**მაინც რა იყო მისი ამგვარი ენთუზიაზმის მიზეზი? (12 ქ.)**



## ლოტო „ფანტაზია“

მეოთხე ტური
9.X.
18-20 სთ



**ანუ „ვის უნდა 10 ლარი“**

**- ტურნირი ჩატარდება 12 ტურად, კვირაში ერთხელ, ორშაბათობით საღამოს 18-20 საათებში.**

**- ყოველ ტურში გამოქვეყნდება 3 სატურნირო და ორი საპრემიო კითხვა. 3 სატურნირო კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემის შემთხვევაში გამარჯვებული მიიღებს 10 ლარს (რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში ეს თანხა განაწილდება); ორ საპრემიო კითხვაზე პასუხის გაცემა სავალდებულო არ არის, მაგრამ თუ ვინმე ისურვებს ამ კითხებზე პასუხის გაცემას და ორივეს ზუსტად ამოიცნობს, მიიღებს საპრემიო 10 ლარს ((რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში ეს თანხაც განაწილდება). საპრემიო პასუხები ჩაეთვლებათ მხოლოდ მათ, ვინც 3 სატურნირო კითხვასაც სწორად უპასუხებს.**

**- საპრემიო კითხებზე ქულა არ იწერება.**

**- მესამე ტურნირის საბოლოო გამარჯვებულს დამატებით მიეცემა კიდევ 10 ლარი.**

**- თანხის გაცემა იწარმოებს ყოველი ოთხი ტურის შემდეგ.**

**- ტურნირში ჩართვა შეგიძლიათ ნებისმიერი ტურიდან.**

**- დაგვირეკეთ - 79-53-70, 8-77 45-19-80**

### მესამე ტურის პაუხები და შედეგები

*სატურნირო კითხვები*: 1. ნაკიანი წელი (ითვლება პასუხი - 29 თებერვალიც). 2. ადამი. 3. დასავლეთ ბერლინი (ითვლება პასუხი - ბერლინის კედელიც). *საპრემიო კითხვები:* 1. ჩვენი წელთაღრიცხვის მილიონი დღე 2. ქიმიკოსები.

სულ ტურში მონაწილეობა მიიღო 15 პიროვნებამ.

სამივე კითხვას ზუსტი პასუხი გასცეს გია ჯვარშეიშვილმა, მერაბ წიკლაურმა, ვახტანგ ნანავამ და სოფიკო დუნდუამ. პირველმა ორმა სწორად ამოიცნო ორივე საპრემიო კითხვაც (მათ შორის განაწილდება საპრემიო 10 ლარი).

**8 ქულა:** სოფიკო დუნდუა (4,50 ლარი)

**7 ქულა**: გია წერეთელი (10 ლარი), გია ჯვარშეიშვილი (9,50 ლარი), დიანა საღრიშვილი (2 ლარი),

**6 ქულა**: მერი მამრიკიშვილი (2 ლარი), ნოდარ გოქაძე, მერაბ წიკლაური (7,50 ლარი)

**5 ქულა:** თემურ აფციაური, ბაჩანა შენგელია. **4 ქულა:** ნადეჟდა ელიზბარაშვილი, ნუკრი მაისურაძე, ანდრო მჭედლიშვილი, ვახტანგ ნანავა (2,50 ლარი), თამრიკო დამენია. **3 ქულა**: ვლადიმერ ყაჯრიშვილი, ვაჟა პაპუაშვილი (2 ლარი), სოსო ნიკოლაშვილი, ნიკოლოზ წიქარიშვილი. **2 ქულა**: ეკა ჩორგოლიანი, ეკა ჩინჩალაძე, დავით ბასილია, მზია ღვინიაშვილი, ნათია ჩუბინიძე. **1 ქულა**: ლექსო ლეკიშვილი, გიორგი გვასალია, დათო ჭილიტაშვილი.

### *სატურნირო კითხვები*

***პირველი კითხვა***

არსებობს ასეთი ლეგენდა - ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში იღუმენიამ მონაზონი ქალი გაკიცხა და მკაცრად დასაჯა. მონაზონი დაბრუნდა თავის სენაკში, გააფთრებულმა დაიწყო იღუმენიის ლანძღვა, თან ტანზე სამოსს იგლეჯდა, ღეჭავდა მას, მაგიდაზე ანთხევდა დაღეჭილ მასას და ასე გაგრძელდა, სანამ მას თავში არ მოუვიდა გენიალური იდეა შეექმნა ის, რაც დღეს ჩვენი (...ყოველდღიური!) ცხოვრების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია...

**რა შეიქმნა აღნიშნული ლეგენდის თანახმად?**

***მეორე კითხვა***

30-იან წლებში ევროპის ერთ „ნაკლებად პოლიტიზირებულ“ ქვეყანაში გამოვიდა მარკა, რომელზედაც ჯორჯ ვაშინგტონი იყო გამოსახული; მას ხელში აშშ-ს დროშა ეჭირა...

**რა ისტორიული შეცდომა იქნა დაშვებული ამ მარკაზე?**

***მესამე კითხვა***

ომარ ხაიამი:

თუ ვარ ფხიზელი, გაშლილი მაქვს ფიქრის დავთრები,
დავლევ და ჭკუა არ შემრჩება, ისე დავთვრები.
და არის წუთი სიფხიზლეს და სიმთვრალეს შორის...

**დაახლოებით მაინც აღადგინეთ ამ რობაის მეოთხე სტრიქონი.**

### *საპრემიო კითხვები*

**1.** ერთხელ ერთ ბავშვს ჰკითხეს - „რამდენი წლისააო მამაშენი?“ მან უპასუხა - „იმდენის, რამდენისაც მეო“

...და ამაში არის რაღაც ლოგიკა...

**რა?**

**2.** ყველას კარგად მოეხსენება, თუ რას ნიშნავდა ჩვენი ძველებისათვის „ჯუბა“; ამ სიტყვამ მთელი ქვეყნიერება მოიარა და ჩვენ ორი განსხვავებული ვარიანტით დაგვიბრუნდა, რომელთაგან ერთს „ევროპული სუნი ასდის“, მეორე კი წმინდაწყლის რუსული სიტყვა გვგონია...

**დაასახელეთ ორივე?**

**თარაზულად:** 1. ქმედება, რომელიც უნდა ჩაედინა სამურაის, თუ იგი თავის პატრონს ვერ დაიცავდა სიკვდილისგან. 4. ისრაელის პარლამენტი. 7. გეომეტრიული სხეული. 13. ყველაზე ცნობილი მულტპერსონაჟი კატა. 14. უსახელო ავტორი. 15. კუროს თანავარსკვლავედის უდიდესი ვარსკვლავი. 18. კლეოპატრას საყვარელი, შემდგომში კი - ქმარი. 19. ვინ მოკლეს რომში ჩვ. წ. აღ-მდე 44 წელს. 20. გამომშვიდობება - ფრანგულად. 24. გამონათქვამი, რომლის აზრი არ ემთხვევა სიტყვების მნიშვნელობას. 25. რუსული სიმღერების უქნარა პერსონაჟი. 26. სასწავლო ოთახი. 30. გამექცა, ანუ რა ქნა? 31. ფიზიკის ნაწილი, რომელიც წონასწორობაში მყოფ სხეულებს სწავლობს. 32. ქარიანი და წვიმიანი ამინდი. 35. ლევ ტოლსტოიც და თევდორე დოსტოევსკიც. 36. ტიბეტის უმაღლესი მმართველი და ეკლესიის მეთაური. 40. ინგლისურენოვან ქვეყნებში გავრცელებული მასის ერთეული. 41. სამყაროს აღწერა. 42. ისტორიის მუზა. 46. ... ტასმანი, მოგზაური. 47. საბერძნეთის ერთ-ერთი უდიდესი კუნძული. 48. ქვეყნის შეიარაღებული ძალები. 49. წერილი გაზეთში. 53. სახალხო-მასობრივე მსვლელობა. 54. კონტინენტი, რომლის აღმოჩენა თვით აღმომჩენმაც კი არ იცოდა. 57. ვაშლის ჯიში. 58. საზ. კვების ობიექტი ა.შ.შ-სა და იტალიაში, სადაც ყველაზე მეტი მოსახლეობა შედის. 59. სხეულის ცენტრალური ნაწილი... მეორენაირად. 63. რომის დამანგრეველი ბელადი. 64. რაიმე თანამდებობის მაძიებელი ძვ. რომში, რომელსაც თეთრი ტოგა ემოსა. 65. ის, რაც გასულ საუკუნეში ჯერ ეგვიპტეში გაჩნდა, ხოლო შემდეგ პანამაში. 69. კათოლიკური ეკლესიის მოწინააღმდეგე შუა საუკუნეებში. 70. ყველაზე კეთილი მოჩვენება. 74. ბურთის გადაწოდება. 75. როგორი იყო ჩარლზ დიკენსის რომანების ორი ყველაზე ცნობილი გმირი? 76. დიდი ზომის მწერი. 77. ბომარშეს უკვდავი დალაქი. 81. ბოლივიურ-ბრაზილიული ცეკვა. 82. ორი ფრანგი ჟურნალისტის მიერ შექმნილი პერსონაჟი, უდიდესი მძარცველი. 83. ის, რაც მიხოს ბაღში თორმეტი იყო, სპიტაკში კი-10, ერთი ანეკდოტის თანახმად. 87. (...) კირთაძე, ჩვენი პოლიტკოსი ქალი. 88. 1988 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი. 89. საქალაქო ტრანსპორტი. 93. სახალხო გამოკითხვა. 94. სიგარეტების ექსპორტიორი ფირმა საქართველოში. 95. ჩვენი სადაზღვევო კომპანია. 96. ჩრდ. ამერიკელ ინდიელთა ტომი. 97. „ნიჭი“ ბერძნულად. 98. სასკოლო დისციპლინა.



**შვეულად**: 1. პოპულარული სიმღერა. 2. პოეზიაში: ჟანრი, რომელშიც ხდებოდა წარსულის განდიდება. 3. პირი, რომელიც ცხოვრობს გასესხებული კაპიტალის სარგებლით. 5. ჟიულ ვერნის პერსონაჟი, პირველი წყალქვეშა ნავის შემქმნელი. 6. თბილისის ელექტრომომარაგების ქსელი. 8. მიმართვა გათხოვილი ქალისადმი გერმანიაში. 9. აფრიკის ქვეყანა, ოდესღაც ბელგიის კოლონია. 10. მუსიკალური ბგერების თანხმოვანება. 11. ერთ-ერთი დასავლელქართველი. 12. ცეცხლისკენ ავადმყოფური მიდრეკილება, რომლითაც ალბათ ჰეროსტრატე იყო დაავადებული. 16. პირი, რომელიც თავს დებს, რომ სამშობლო არა აქვს. 17. ფიზიკური მოწყობილობა, რომელსაც უდიდესი გამოყენება აქვს მაკრატლებში, ბრტყელტუჩებში, კარებში. 21. ძვ. ბერძენი მოაზროვნე, რომელსაც თავის საცხოვრებელზე ეწერა: „ ფული კასრზე“, ამ ფრაზით იგი მიმართავდა თხოვნით მისულ ხალხს. 22. აცტეკების ლეგენდარული ბელადი. 23. დასავალის ანტონიმი. 27. ერთადერთი სიმდიდრე, რაც მიზანა ბრეგვაძეს შერჩა. 28. წყლის საცავი, რომელშიც შეგვიძლია დავათვალიეროთ ზღვის ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლები. 29. მთა კარმელზე დაარსებული მონაზვნური ორდენის წევრი. 33. კიდურების დაბოლოებების არასტანდარტულად დიდი ზომის გამომწვევი დაავადება. სწორედ ეს აწუხებდა ოსკარ უაილდს. 34. ანდრეი სახაროვის ნამდვილი გვარი, სხვათაშორის გერმანულიდან ზუსტი თარგმანია. 38. სამშენებლო მასალა. 39. ქიმიური ელემენტი, რომელმაც სახელი ძვ. სკანდინავიური პერსონაჟის კობოლდასგან მიიღო. 43. სახელი, რომლითაც ევროპელები ჩინელ აზნაურებს მოიხსენიებდნენ, ჩვენ კი ერთ-ერთ ხილს. 44. რისამე დადგენილი ნორმა. 45. უდაბნო ჩილეში, დედამიწის ყველაზე უნალექო წერტილი. 50. უმაღლესი სასწავლებელი. 51. უმეცარი რაიმე წამოწყებაში. 52. ნამდვილი პიროვნება, რომლის მიხედვითაც ავტორმა შექმნა ლიტერატურული სახე. 55. დიდი, გრანდიოზული. 56. კურორტი სამეგრელოში. 60. რუსეთის იმპერატრიცა, პეტრე I-ის შვილი. 61. მიმართულება ფილოსოფიაში, რომლის მიხედვითაც იდეა, ცნობიერება, სული არის პირველადი, ხოლო მატერია, ბუნება, ყოფიერება - მეორეული. 62. ენის შემსწავლელი მეცნიერება. 66. კროსვორდისტი არის პიროვნება, რომელიც ავსებს კროსვორდებს. რა შეიძლება ეწოდოს ადამიანს, რომელიც მათ ადგენს? 67. ცუდი მხარე. 68. ირანის უდიდესი ტბა. 71. ჯარი - ძველებურად. 72. ევროპულ ლიტერატურაში ჟანრი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ბუნების წიაღში მწყემსების ცხოვრების იდილიური ასახვა. 73. ორკორპუსიანი ხომალდი. 78. ზღვის ნაპირის ნგრევა-ჩარეცხვა ტალღების მოქმედებით. 79. თავისი მშვენიერებით ცნობილი ანრი II-ის ქალიშვილი, ანრი IV-ის პირველი ცოლი. 80. XX ს-ის დასაწყისში, სოციალისტ-რევოლუციონერების მოსახსენიებელი სიტყვა. 84. კურორტი კრასნოდარის მხარეში. 85. პოლიტიკური გაერთიანება. 86. მოზაიკაში ხმარებადი ფერადი თიხის ნაჭრები. 90. სამედიცინო-პროფილაქტიკური ქმედება. 91. ქვეყნის ნაწილი. 92. რა აქვთ იტალიელებს ქალაქგარეთ?

# ორიოდ სიტყვა „Phobos“-ის ანუ შიშის შესახებ

...დიახ, ეს გახლავთ პოპულარული დაბოლოება „ფობია“, რაც თანამედროვე ენებში ფართოდაა გავრცელებული. ზოგადად კი დღეს „ფობიის“ 400 სახეობას ითვლიან, რომელთა შორის პირველ ადგილი **აგორაფობიას** (ბერძნ. აგორა - ბაზრის მოედანი, თავყრილობის ადგილი) აქვს მიკუთვნებული. ეს არის შიში გაშლილი სივრცის და ხალხმრავალი ადგილის მიმართ. აგორაფობიის ერთ-ერთი სახესხვაობა საზოგადოებრივი ტრანსპორტის შიში გახლავთ. სტატისტიკის თანახმად, ყოველი მე-10 ლონდონელი, აგორაფობიისა გამო, მეტროში არ ჩადის.

მეორე ადგილზე **კლაუსტროფობია** გახლავთ, რაც დახშული სივრცის შიშს გამოხატავს. ამ „სენით“ დაავადებული ადამიანები ვერ მგზავრობენ ლიფტით, მარტონი ვერ ჩერდებიან სახლში და ა.შ.

შიშების დიდი ჯგუფიდან, რაც საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ ზედმეტ ყურადღებას გულისხმობს, ფართოდაა გავრცელებული **ნოზოფობია** ანუ იპოქონდრია. ასე მაგალითად, გერმანელი ექსპერტების აზრით, 8-9 მილიონი გერმანელი, ანუ გერმანელ ექიმთა ყოველი მეოთხე პაციენტი, უჩივის ამა თუ იმ ორგანოს ტკივილს, რომლის გამომწვევი მიზეზიც ხშირად წმინდა ფსიქოლოგიური გახლავთ. ყველაზე ცნობილი რუსი იპოქონდრიკი ნიკოლაი გოგოლი 30 წლის ასაკიდან სიცოცხლის ბოლომდე ებრძოდა საკუთარი სხეულის მოჩვენებით ტკივილებს, რომელთა არსებობაც უფრო გენიოსის შერყეული ფსიქიკით იყო განპირობებული.

მედიკოსები, რომლებიც გაუთვითცნობიერებელ აუდიტორიას მოუწოდებენ, რომ პანიკა არ შექმნან ამა თუ იმ ავადმყოფობის გამო, უფრი მეტად არიან ნაირგვარი „ფობიის“ კლანჭებში მოქცეულნი. ასე მაგალითად, **კონცეროფობია** განსაკუთრებით გავრცელებულია ონკოლოგთა შორის. შესაძლოა ეს იმითაცაა გამოწვეული, რომ მედიცინის ამ დარგის სპეციალიტები, სამსახურეობრივი მოვალეობისა გამო, ვალდებულნი არიან ავადმყოფებს ოპტიმიზმი ჩაუნერგუნ, არადა, ონკოლოგიის თანამედროვე შესაძლებლობების გათვალისწინებით, მშვენივრად უწყიან, თუ რა დროში დასრულდება მათი პაციენტების სიცოცხლე.

არსებობს „ფობიის“ უფრო ეკზოტიკური სახეობებიც. მაგალითისთვის, **ტრისკაიდეკაფობია** გამოდგება და ეს რიცხვი „13“-ის მიმართ ავადმყოფურ დამოკიდებულებას გულისხმობს. ბრიტანეთის ერთმა სამედიცინო ჟურნალმა ჩაატარა გამოკითხვა, რომლის შედეგადაც გაირკვა, რომ თუ პარასკევი დღე 13 რიცხვს ემთხვევა, საავადმყოფოში მოხვედრის შანსი ამ ქვეყნის მოსახლეობისათვის 52%-ით იზრდება. „13“-ისა ეშინია ყოველ მეოთხე გერმანელსაც, საფრანგეთში კი არსებობს „მეთოთხმეტე სტუმრის პროფესია“, რომელსაც წინასწარ სპეციალურად აფრთხილებენ იმ შემთხვევაში იყოს მზად სტუმრობისათვის, როცა წვეულთა რიცხვი 13-ს შეადგენს.

# ანონსი







| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | | 21 | |
| 2 | | 22 | |
| 3 | | 23 | |
| 4 | | 24 | |
| 5 | | 25 | |
| 6 | | 26 | |
| 7 | | 27 | |
| 8 | | 28 | |
| 9 | | 29 | |
| 10 | | 30 | |
| 11 | | 31 | |
| 12 | | 32 | |
| 13 | | 33 | |
| 14 | | 34 | |
| 15 | | 35 | |
| 16 | | 36 | |
| 17 | | 37 | |
